ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4216092

ნომერი: AR1630407

თარიღი : 13.09.2018

გაცემის თარიღი : 19.10.2018

გაცნობის თარიღი : 19.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 61;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბესიკ ბარსონიძე პ/ნ 01026001524
- ქ.თბილისი ფანასკერტელის ქ.13ბ

ორგანიზაცია:
- სს თიბისი ბანკი კოდი: 204854595

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებულ შენობის ფასადზე სარეკლამო წარწერებისა და ლოგოს მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2018 წლის 13 სექტემბრის AR1630407 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), დავით აღმაშენებლის გამზ. N61–ში, შ.პ.ს. „ბიზნეს ცენტრო მოზაიკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სს „თიბისი ბანკი“-ს სარეკლამო წარწერებისა და ლოგოს მოწყობის სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით დასტურს.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. „ბიზნეს ცენტრო მოზაიკა“-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N 892018803825, 19.09.2018წ. საკადასტრო კოდი N01.16.05.003.069; შ.პ.ს. „ბიზნეს ცენტრო მოზაიკა“-ს დირექტორის მ. ბეგიაშვილის 2018 წლის 12 ოქტომბრის თანხმობა; 2018 წლის 06 ივნისის ხელშეკრულება; სს „თიბისი ბანკი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილის ვ. ბალიაშვილის 2018 წლის 04 იანვრის N09/107-12 მინდობილობა; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), დავით აღმაშენებლის გამზ. N61–ში, შ.პ.ს. „ბიზნეს ცენტრო მოზაიკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სს „თიბისი ბანკი“-ს სარეკლამო წარწერებისა და ლოგოს მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge